სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

29/07/2025

MES 7 25 0000924578

**საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2025 წლის საგაზაფხულო მიღების ფარგლებში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო განრიგის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „2025 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 04 მარტის MES 2 25 0000232427 ბრძანების, „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2025 წლის საგაზაფხულო მიღების ფარგლებში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებისათვის სწავლა დაიწყოს 2025 წლის 15 სექტემბერს.
2. სწავლება და შეფასება განხორციელდეს სასწავლო გეგმისა და მოდულების მიხედვით.
3. ბრძანების შესრულების კოორდინაცია დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზაზა ბუაჩიძეს.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს თამარ წერეთელს.
5. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტს.

6. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

ვიცე-რექტორი
თამარ წერეთელი